ოქმი N13

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი 2023 წლის 21 დეკემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 23 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მიულოცა საქართველოსთვის ევროკავშირის სტატუსის მინიჭება და წარმატება უსურვა ქვეყანას ევროპულ ოჯახში ინტეგრაციის პროცესში

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0,

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც, 5,8 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები, და 16,3 ათასი ლარით მცირდება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები, შემოსულობების ზრდით მიღებული 5,8 ათასი ლარი და გამოთავისუფლებული 16,3 ათასი ლარი, სულ 22,1 ათასი ლარი, მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის ,,წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“ ასიგნებაზე 5,8 ათასი ლარი, კერძოდ: 5,8 ათასი ლარით ქვეპროგრამის ,, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა“ ასიგნება, აქედან: 5,8 ათასი ლარი - ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,შრომის ანაზღაურება“ ასიგნება; პრიორიტეტის ,,დასუფთავება და გარემოს დაცვა“ ასიგნებაზე 16,3 ათასი ლარი, აქედან: 16,3 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,დასუფთავების ღონისძიებები“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,სუბსიდიები“ ასიგნებაზე (შპს ,,ხობი დასუფთავება და განათება"-ს სუბსიდია, აქედან: 5,0 ათასი ლარი - ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,შრომის ანაზღაურება“ ასიგნება, 0,7 ათასი ლარი - ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება’ ასიგნება, 4,5 ათასი ლარი - პარკ-ხეივნების მოვლის ასიგნება, 5,8 ათასი ლარი - ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავების ასიგნება და 0,3 ათასი ლარი - სანიაღვრე არხების წმენდის ასიგნება). გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია

კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N29 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკრებულოს აპარატმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ მოქალაქე ბორის იოსავას სურდა განცხადების გაკეთება, რომელიც არ იყო დღის წესრიგში შეტანილი, მაგრამ გამონაკლისის სახით მისცა მას საკრებულოს წევრების წინაშე გამოსვლის უფლება და მოქალაქე ბ. იოსავას სთხოვა ტრიბუნასთან

მოისმინეს: ბ. იოსავა - გამომსვლელი მიესალმა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას და მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და განაცხადა, რომ ის იყო ხობის მუნიციპალიტეტის ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოქალაქე ბორის იოსავა, რომელიც 1985 წლიდან დღემდე მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში და ეწეოდა ბიზნეს საქმიანობას. იგი იყო შპს „ხეთის დაფნა და ციტრუსის“ კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. მან მეგობრებთან ერთად სოფელ ხეთაში 2006 წელს შეიძინა გარკვეული ტერიტორია, დღემდე ეწევა ბიზნეს საქმიანობას და ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ კეთილსინდისიერად იხდის გადასახადებს. აღნიშნულ ბიზნესში დასაქმებული ყავს უამრავი ადგილობრივი მცხოვრები. გულისტკივილი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ 2014 წელს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მათ ტერიტორიამდე მისასვლელი გზის დასაწყისში დადგმულიყო საგზაო ნიშანი, რომელიც კრძალავდა 8 ტონაზე მეტი მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილებას, რომელიც ბიზნეს განვითარებას უშლიდა ხელს და თავისუფლად ვერ გაჰქონდათ მათ მიერ წარმოებული პროდუქტი. გამომდინარე აქედან თხოვნით მიმართა საკრებულოს, რომ მომხდარიყო აღნიშნული საგზაო ნიშნის დემონტაჟი.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ როგორც მისთვის ცნობილია აღნიშნული საგზაო ნიშანი თავის დროზე დაიდგა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით. კომპანია „ხეთის დაფნა და ციტრუსის“ ხელმძღვანელობა საკრებულოში წერილით იყო შემოსული საგზაო ნიშნის დემონტაჟთან დაკავშირებით, ამასტან იმავე ქუჩის მცხოვრებლები შემოსული იყვნენ მოტხოვნით საგზაო ნიშნის არ მოხსნის შესახებ.

ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებები განხილულ იქნა საკრებულოს შესაბამის კომისიაში, რომლის შემდგომაც გადაგზავნილ იქნა მერიაში რეაგირებისთვის. მერიაშიც განხილულ იქნა განცხადებები და შესაბამისი წერილით ეცნობა უარი შპს „ხეთის დაფნა და ციტრუსის“ ხელმძღვანელობას, საგზაო ნიშნის დემონტაჟზე უარის თაობაზე, მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. რის შემდგომაც კომპანიის ხელმძღვანელობამ მიმართა სასამართლოს, ამ ეტაპზე საქმე ფოთის საქალაქო სასამართლოშია, რის გამოც სასამართლო განხილვის დასრულებამდე საკრებულო ვერ მიიღებს ვერანაირ გადაწყვეტილებას. იქვე მიმართა კითხვით ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარ საკრებულოს წევრს გივი ლატარიას ხომ არ ექნებოდა რაიმე სახის შეკითხვა ან მოსაზრება, ან არსებობდა თუ არა რაიმე სახის გზა საკითხის მოსაგვარებლად ისე, რომ არც ბიზნესი დაზარალებულიყო და მოსახლეობის ინტერესებიც ყოფილიყო გათვალისწინებული.

გ. ლატარია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ აღნიშნული საგზაო ნიშნის არ აღებასთან და ამ გზაზე მძიმეწონიანი მანქანების არ გატარებასთან დაკავშირებით არსებობდა მოსახლეობის ხელმოწერები, გამომდინარე იქიდან რომ ზიანდებოდა საგზაო ინფრასტრუქტურა, ძველ სახლებს ექმნებოდა პრობლემები. მოსახლეობის გულისტკივილი გათვალისწინებულ იქნა, მისი და მერის წარმომადგენლის თაოსნობით მოსახლეობის განცხადება 90-მდე ხელმოწერით წარდგენილ იქნა მერიაში, (ასლი გადასცა საკრებულოს თავმჯდომარეს). ასევე განაცხადა, რომ კომპანიის მიერ მერიაში და საკრებულოში მოსახლეობის ხელმოწერებით შეტანილი წერილები საგზაო ნიშნის დემონტაჟის თაობაზე, გადამოწმდა და აღმოჩნდა, მხოლოდ 6 ადამიანი იყო ამ ქუჩის მცხოვრები, დანარჩენი კი კომპანიაში დასაქმებული ან ხელმძღვანელობასთან დაახლოებული პირები იყვნენ. ამასთან ყველაზე ყურადსაღები ის იყო, რომ იმ 6-მა მოქალაქეებმაც განაცხადა, რომ წერილში ხელი სულ სხვა საკითხის გადაწყვეტას მოაწერეს და არა საგზაო ნიშნის დემონტაჟს, რომლის თაობაზეც მერიაში ახლადწარდგენილ განცხადებაშიც იყო აღნიშნული.

ლ. ქავთარაძე - სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს უკვე ურთიერთ საწინააღმდეგო განცხადებები იყო, რომელის გადაწყვეტაც საკრებულოს კომპეტენციას აღემატებოდა და საკრებულო დაელოდებოდა, სასამართლოს გადაწყვეტილებას, რის შემდგომაც იმოქმედებდა კანონის მოთხოვნის შესაბამისად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ნუგზარი შუშანია
5. ბექა მამაცაშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. აკაკი მალანია
9. ია ჯიშკარიანი
10. ლელა ადანაია
11. ქეთევან კვირიკაშვილი
12. აკაკი ხურცილავა
13. გურიელ ქარდავა
14. კობა გერგაია
15. მოგელი ხუხია
16. ბექა ხარბედია
17. მზია ლემონჯარია
18. გივი ლატარია
19. ბესიკ თამლიანი
20. ვეფხვია ფოცხორაია
21. ფელიქს წურწუმია
22. ჯანსუღი ჯიშკარიანი
23. ირაკლი ზაქარაია